პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ



მონანიების ძღვენი

„ჩვენი ვალდებულებაა, ამოვიდეთ საშუალოდან კომპეტენტურობამდე, მარცხიდან წარმატებულობამდე“, - გვასწავლიდა პრეზიდენტი თომას ს. მონსონი. „ჩვენ გვევალება - მაქსიმალურად შევიცვალოთ უკეთესობისკენ. ღმერთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჩუქარია ის, რომ გვეძლევა ახალი მცდელობის სიხარულის განცდის საშუალება და რომ არც ერთი მარცხი არ უნდა იყოს მაინცდამაინც საბოლოო“.[1]

ჩვენ ხშირად ვუკავშირებთ ახალი წლის დაწყებას ახალ მიზნებსა და გადაწყვეტილებებს. ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას, გავხდეთ უკეთესნი, შევიცვალოთ ან კიდევ ვცადოთ რაიმე თავიდან. შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი გზა თავიდან დაწყებისა არის იმის მიღება, რასაც პრეზიდენტმა მონსონმა დაარქვა“მონანიების ძღვენი“.[2]

ქვემოთ მოყვანილია ამონარიდი მისი გამოსვლიდან, სადაც იგი გვირჩევს, ეკლესიის პრეზიდენტად მისი არჩევის დღიდან, „გამოვიყენოთ ქრისტეს გამოსყიდვის სისხლის ძალა, რათა მივიღოთ ჩვენი ცოდვების მიტევება და გავიწმინდოთ გული“.[3]

მიტევების სასწაული

„ჩვენ ყველას გაგვიკეთებია მცდარი არჩევანი. და თუ აქამდე არ გამოვასწორეთ მსგავსი არჩევანი, მე გარწმუნებთ, რომ საამისოდ ყოველთვის არსებობს გზა. ამ პროცესს ეწოდება მონანიება. მე გევედრებით, გამოასწოროთ თქვენი შეცდომები. ჩვენი მხსნელი აღესრულა, რათა უზრუნველყოს ჩვენთვის ეს დალოცვილი ძღვენი. მიუხედავად იმისა, რომ გზა ადვილი არაა, დაპირება რეალურია: ‘ალისფერივით რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გათეთრდება’ [ესაია 1:18]. ‘და მე, უფალი, აღარ გავიხსენებ მათ’ [D&C 58:42]. ნუ დააყენებთ რისკის ქვეშ თქვენს მარადიულ ცხოვრებას. თუ შესცოდეთ, რაც უფრო მალე დაიწყებთ გამოსწორებას, მით უფრო მალე იპოვით ტკბილ სიმშვიდესა და სიხარულს, რაც მიტევების სასწაულს მოსდევს“.[4]

ბილიკზე დაბრუნება

„მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია, ბრძნულად ავირჩიოთ, ზოგჯერ ჩვენ სულელურ არჩევანს ვაკეთებთ. მხსნელის მიერ უზრუნველყოფილი მონანიების ძღვენი გვაძლევს ჩვენი მიმართულების კორექტირების საშუალებას, რათა შევძლოთ იმ ბილიკზე დაბრუნება, რომელიც მიგვიყვანს იმ ცელესტიალურ დიდებამდე, რომელსაც ვეძიებთ“.[5]

უკან დასაბრუნებელი გზა

„თუ ამ მოგზაურობისას რომელიმე წაბორძიკდა, მე გარწმუნებთ, რომ არსებობს უკან დასაბრუნებელი გზა. ამ პროცესს ეწოდება მონანიება. მიუხედავად იმისა, რომ გზა რთულია, თქვენი ხსნა მთლიანად არის დამოკიდებული მასზე. რა უნდა იყოს თქვენი მცდელობებისთვის ამაზე უფრო ღირსეული? მე გევედრებით, გადაწყვიტოთ ამ წუთას და გადადგათ აუცილებელი ნაბიჯები სრული მონანიებისკენ. რაც უფრო მალე გააკეთებთ ამას, მით უფრო მალე იგრძნობთ სიმშვიდეს, სიჩუმესა და დაჯერებულობას, რაზედაც ესაია საუბრობდა [იხ. ესაია 1:18].“[6]

ადამიანებს შეუძლიათ, შეიცვალონ

„ჩვენ უნდა ჩავიბეჭდოთ გონებაში, რომ ადამიანებს შეუძლიათ, შეიცვალონ. მათ შეუძლიათ, უკან მოიტოვონ ცუდი ჩვევები. მათ შეუძლიათ, მოინანიონ შეცოდებები. მათ შეუძლიათ, ღირსეულად ატარონ მღვდლობა. და მათ შეუძლიათ, ბეჯითად ემსახურონ უფალს“.[7]

კვლავ განიწმინდეთ

„თუ თქვენს ცხოვრებაში რაიმე შეცდომაა, ამის გამოსასწორებლად ყოველთვის არსებობს გზა. შეწყვიტეთ

ყოველი უსამართლობა. გაესაუბრეთ თქვენს ეპისკოპოსს. როგორიც არ უნდა იყოს პრობლემა, ყოველთვის შეიძლება მისი მოგვარება მონანიებით. თქვენ შეგიძლიათ კვლავ სუფთანი გახდეთ“.[8]

მხსნელის აუცილებელი როლი

„[ხსნის] გეგმის აუცილებელი ნაწილია ჩვენი მხსნელი, იესო ქრისტე. მისი გამომსყიდველი მსხვერპლის გარეშე ყველაფერი დაიკარგებოდა. თუმცა საკმარისი როდია, უბრალოდ გწამდეს იგი და მისი მისია. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და ვისწავლოთ, ვეძიოთ და ვილოცოთ, მოვინანიოთ და გამოვსწორდეთ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ უფლის კანონები და ვიცხოვროთ მათ მიხედვით. ჩვენ უნდა მივიღოთ მისი გადარჩენის წეს-ჩვეულებანი. მხოლოდ ასე ჩვენ მივიღებთ ჭეშმარიტ, მარადიულ ბედნიერებას.[9]

შენიშვნები

1. “The Will Within,” *Ensign*, May 1987, 68.
2. “Choices,” *Liahona*, May 2016, 86.
3. იხ.მოსია 4:2.
4. “The Three Rs of Choice,” *Liahona*, Nov. 2010, 69.
5. “Choices,” 86.
6. “Keep the Commandments,” *Liahona*, Nov. 2015, 85.
7. “See Others as They May Become,” *ლიაჰონა*, ნოემბერი 2012, 68.
8. “Priesthood Power,” *Liahona*, May 2011, 67.
9. “The Perfect Path to Happiness,” *Liahona*, Nov. 2016, 80–81.

ამ გზავნილის სწავლება

ჩვენ ყველანი არასრულყოფილნი ვართ - მხოლოდ მონანიების ძღვენის ხარჯზე, რომელიც იესო ქრისტეს მსხვერპლის გამო გახდა შესაძლებელი, ჩვენ შეგვიძლია განვიწმინდოთ ცოდვებისგან და გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრება. განიხილეთ მათთან, ვისაც ასწავლით, “როგორ გამოვასწოროთ ჩვენი მიმართულება“ მონანიების გზით. როგორ იგრძნეს მათ, რომ უფრო ახლოს მივიდნენ მამაზეციერთან და ქრისტესთან იმ პოზიტიური ცვლილებების გამო, რომლებიც მათ მოახდინეს ცხოვრებაში? შეგიძლიათ მოიპატიჟოთ ისინი, ვისაც ასწავლით, ჩამოწერონ სულიერი სახის საახალწლო გადაწყვეტილებები და პასუხისმგებელნი იყვნენ წინსვლაზე მეუღლის, მეგობრის ან ოჯახის სხვა წევრთა წინაშე.

ახალგაზრდები

მონანიების გადაწყვეტილება

პრეზიდენტი მონსონი გვიხსნის, რომ „ჩვენი მოვალეობაა გავიზარდოთ საშუალოდან კომპეტენტურობამდე, მარცხიდან მიღწევამდე. ჩვენი დავალებაა - გავხდეთ საუკეთესონი“. მრავალი ადამიანი იანვრის თვეს უთმობს მიზნების დასახვას და გაუმჯობესების გადაწყვეტილებების მიღებას: მეტად გაიღიმონ, უფრო ჯანსაღად იკვებონ ან აითვისონ ახალი უნარი. ამ მიზნებს შეუძლია დაგეხმაროს უკეთესობისკენ შეცვლაში, მაგრამ შეცვლის საუკეთესო გზა მონანიებაა.

მიუხედავად იმისა, რომ მონანიება შეიძლება რთული იყოს, იგი ძღვენია. როცა ჩვენ ცოდვების მოსანანიებლად იესო ქრისტეს ვეყრდნობით, ჩვენ ვიზრდებით და წინ მივიწევთ. პრეზიდენტმა მონსონმა თქვა, რომ „[ხსნის] გეგმის აუცილებელი ნაწილია ჩვენი მხსნელი, იესო ქრისტე. მისი გამომსყიდველი მსხვერპლის გარეშე ყველაფერი დაიკარგებოდა“. მონანიების მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ ჩამოირეცხოთ ცოდვები და უფრო დაემსგავსოთ უფალს.

მოიფიქრეთ ერთი რამ, რაც გაკავებთ იმისგან, რომ უფრო დაემსგავსოთ ქრისტეს. საუბრის მანერა? ის, როგორ ექცევით მეგობრებს ან ოჯახის წევრებს? მას შემდეგ, რაც მოიფიქრებთ, რისი გაუმჯობესებაც შეგიძლიათ, ილოცეთ მამაზეციერის მიმართ და გამოხატეთ საკუთარი თავის შეცვლის სურვილი. გახსოვდეთ, რომ უფლის გამოსყიდვის ძალის გამო იესო ქრისტე დაგეხმარებათ სისუსტეების გადალახვაში. როგორც პრეზიდენტმა მონსონმა გვასწავლა: „მხსნელის მიერ უზრუნველყოფილი მონანიების ძღვენი გვაძლევს ჩვენი მიმართულების კორექტირების საშუალებას.

ახალი წლის მიზნებს შეუძლია დაგეხმაროთ ზრდაში, მაგრამ შეცვლის საუკეთესო გზა მონანიებაა.

See also “Eight Myths about Repentance” at lds.org/go/1186

ბავშვები

მონანიება ძღვენია

მონანიების ძღვენი არ არის ისეთი, რომელსაც შეეხები ან იხილავ. ეს არის ძღვენი, რომელსაც გრძნობ. რაც ნიშნავს იმას, რომ როცა მცდარ არჩევანს ვაკეთებთ, ჩვენ შეგვიძლია მოვინანიოთ და კვლავ ვიგრძნოთ სიმშვიდე და ბედნიერება.

მამაზეციერი და იესო ყოველთვის დაგვეხმარებიან მონანიებაში. დახატეთ სურათი, რომელიც შეესაბამება მონანიების ყოველ ნაბიჯს.

ჩვენ ვგრძობთ სინანულს.

ვლოცულობთ მამაზეციერის მიმართ, ვუყვებით, რა მოხდა და ვთხოვთ დაგვეხმაროს, რათა შემდგომში კარგი არჩევანი გავაკეთოთ.

ჩვენ ვიხდით ბოდიშს და ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ მდგომარეობა.

ჩვენ ვგრძნობთ სიმშვიდეს და ვიცით, რომ მოგვეტევა.

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი 131 *First Presidency Message, January 2018*. Georgian. 15045 131

იქონიეთ კავშირი მასთან ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ შემთხვევაში

შინა მასწავლებლის პროგრამა მსახურებაზეა აგებული. იესო ემსახურებოდა ყველას, ყველგან. ჩვენ შეგვიძლია, იგივე გავაკეთოთ.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

„ემსახურო“ ნიშნავს გაუწიო მსახურება, ზრუნვა ან დახმარება, რაც მოჰგვრის სხვას ნუგეშს ან ბედნიერებას. სტუმრად მოსული მასწავლებლის პროგრამა ნიშნავს იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც სტუმრობ, მსახურების გზის აღმოჩენას. იესო ქრისტე ემსახურებოდა ყველას, ყველგან. მან დააპურა 5 000 ადამიანი, ანუგეშა მარიამი და მართა მათი ძმის გარდაცვალებისას და ჭასთან ქალებს თავისი სახარება უქადაგა. მან ეს გააკეთა თავისი გულწრფელი სიყვარულის გამო.

ჩვენ, როგორც სტუმრად მოსულ მასწავლებლებს, მივყვებით რა უფლის მაგალითს, შეგვიძლია გავიცნოთ ყოველი და, რომელსაც ვსტუმრობთ და სიყვარულით აღვივსოთ მათ მიმართ, რამეთუ გვახსოვს, რომ ყოველივე ჩვენი ქმედების საფუძველი სიყვარულია. როცა ვლოცულობთ შთაგონებისთვის, როგორ ვემსახუროთ მას და დავეხმაროთ რწმენის გაძლიერებაში, „ვერ შეაფერხებთ ანგელოზებს, რომ არ დაგეხმარონ“.[1]

მოწყალების საზოგადოების დაარსების დღიდან, 1842 წ. დაწყებული დღემდე, ქალების მსახურებამ დალოცა მრავალი ადამიანის ცხოვრება. მაგალითად, ჯოან ჯონსონი, 82 წლის ქვრივი და მისი მეწყვილე, დადიან 89 წლის ფილტვების ანთებით დაავადებულ მეზობელთან სტუმრად, მოსული მასწავლებლის პროგრამით. მათ დაინახეს, რომ ისინი მეზობელს თვეში ერთხელ მეტჯერ სჭირდებოდა, ამიტომ ყოველ კვირას ნახულობდნენ ან ტელეფონით უკავშირდებოდნენ მას .

სხვა სტუმრად მოსული მასწავლებლებისთვის გამამხნევებელი მესიჯის ან იმეილის გაგზავნა შესაძლოა თვის საუკეთესო მოვლენა გახდეს რომელიმე დისთვის. პირადი კავშირების დამყარება და სიყვარულით მოსმენა არის სტუმრად მოსული მასწავლებლის პროგრამის არსი. თანამედროვე ტექნოლოგიები და დროის დამზოგველი პირისპირ შეხვედრები გვეხმარება ამ პროგრამის განხორციელებაში ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ხერხით.[2] ეს არის იესოს მსგავსად მსახურება.

შენიშვნები

1. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007წ.), გვ. 454.
2. იხ *Handbook 2: Administering the Church* (2010), 9.5.1

განიხილეთ შემდეგი

როგორ შევწყვიტოთ ფიქრი იმაზე, „რა გვეთვლება“ სტუმრად მოსული მასწავლებლის პროგრამაში და ამის ნაცვლად მთელი ყურადღება გადავიტანოთ იმაზე, რა სჭირდება ყოველ დას მასთან სტუმრად მოსული მასწავლებლებისგან?

მსახურება

კონკრეტული გზავნილის ნაცვლად ყოველ თვე ამ გვერდზე აისახება სხვადასხვა პრინციპი, რომელიც დაგვეხმარება, უფრო ეფექტურად ვემსახუროთ ერთმანეთს. ლოცვისა და შთაგონების ძიებისას თქვენ შეიტყობთ ყოველი დისთვის საჭირო სულიერ გზავნილსა და მსახურებას.

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი *Visiting Teaching Message, January 2018*. Georgian. 15045 131